პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 284 (13100) | პარასკევი, 4 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლედი — ვადამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეს

3 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა**, ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ა. ნოვოტნიმ** და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ი. ლენარტმა**. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის გაზსადენი

3 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირიდან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გაზსადენის გაყვანის შესახებ. გაზსადენის მშენებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი მაგალითია, განხორციელდება 1965-1967 წლებში. (საკდესი.)

დარბაზობა კრემლში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 3 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, ჩეხოსლოვაკიის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები და სხვები.

დარბაზობის დროს, რომელმაც ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ი. ლენარტმა** მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

მიფრინავს „ზონდ-2“

ავტომატური სადგური „ზონდ-2“ განაგრძობს ფრენას. ფრენის დროს მოეწყო კავშირის ოთხი სეანსი.

მიღებულია მონაცემები სადგურის ფრენის ტრაექტორიის, მისი სისტემების მოკმედების შესახებ და მეცნიერული ინფორმაცია.

სადგურთან დამყარებულია რადიოკავშირი ავტომატური სადგურის „ზონდ-2“ მართვის სისტემა საიმედოდ ამუშავებს დედამიწიდან მიღებულ რადიოკომანდებს.

მიმდინარე წლის 2 დეკემბერს 22 საათზე მოსკოვის დროით სადგური იყო დედამიწიდან 710 ათას კილომეტრზე დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია: აღმოსავლეთის გრძედის 128 გრადუსი და სამხრეთის განედის ხუთი გრადუსი.

ავტომატურ სადგურთან „ზონდ-2“ რადიოკავშირის შემდეგი სეანსები მოეწყობა პროგრამის შესაბამისად. (საკდესი).

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1964 წლის 3 დეკემბერს გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი: „სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“. ამ საკითხზე მოახსენება გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ხ. პ. პავლოვმა.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ი. ნ. ელჩენკო, ა. მ. მაკიევსკი, უ. ჯანიბეკოვი, რ. ვ. ნიკოლაევი, ა. ი. ჩესნავიჩუსი, ი. პ. კოჩეტკოვი, გ. ნ. ეაბიცკი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება „სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“.

პლენუმმა გადაწყვიტა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

თბილისში ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის ელჩი

3 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი მეუღლითურთ. მგზავრობის დროს ელჩს ახლავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების მრჩეველი ს. ვ. დუნინი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

კარლოს ოლივარეს სანჩესი აპირებს გაეცნოს ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ჩამოსვლის დღეს კუბის ელჩი ეწვივა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობას. შემდეგ იგი იყო ჩაის საწონ ფაბრიკაში. საღამოს სტუმრებმა ნახეს სტუდია „საქართველოს ფილმის“ დოკუმენტური ფილმები. (საკდესი).

კუბის რესპუბლიკის ელჩი ეწვია გ. დ. ჯავახიშვილს

3 დეკემბერს კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი მეუღლითურთ ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

გ. დ. ჯავახიშვილი გულთბილად მიესალმა კარლოს ოლივარეს სანჩესს და მისი სახით მამაც კუბელ ხალხს.

კუბის ელჩი კუბელი ხალხის სახელით გულითადად მიესალმა ქართველ ხალხს. მან თქვა, რესპუბლიკის მიღწევებს ინტერესით გავეცნობიო. საქართველოში, — განაცხადა კარლოს ოლივარეს სანჩესმა, პირველად ჩამოვედი და, იმედი მაქვს ეს ჩამოსვლა უკანასკნელი არ იქნება.

— ჩვენ, — თქვა გ. დ. ჯავახიშვილმა, — ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ თქვენი ყოფნა საქართველოში საინტერესო და სასარგებლო იყოს. ჩვენში ახლა აცივდა, მაგრამ თქვენ იგრძნობთ ჩვენი ხალხის გულის სითბოს.

კუბელმა სტუმარმა თქვა, რომ საქართველოში ყოფნის პირველსავე დღეს იგრძნო გულწრფელი სტუმართმოყვარეობა, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ადამიანების დიდ სიმპათიას კუბელი ხალხისადმი.

გ. დ. ჯავახიშვილმა კუბის ელჩს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკა, აქ გაწეული მშენებლობა.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გიგოშვილმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ე. მ. ჯაფარიძემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების მრჩეველმა ს. ვ. დუნინმა. (საკდესი).

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო კარლოს ოლივარეს სანჩესი

3 დეკემბერს თბილისში მყოფი კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი მეუღლითურთ ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს.

ვ. პ. მჟავანაძესა და კარლოს ოლივარეს სანჩესს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. ვ. პ. მჟავანაძემ სტუმარს გააცნო მიმდინარე სამეურნეო წლის ზოგიერთი შედეგი, რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარება, მისი წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, აღნიშნა, თუ რა როლს ასრულებს პარტიული ორგანიზაცია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

კარლოს ოლივარეს სანჩესმა მადლობა გადაიხადა ყურადღებისათვის, იმისათვის, რომ მიეცა საშუალება გაეცნოს საქართველოს ეკონომიკასა და კულტურას. კუბელი ხალხის, რევოლუციური მთავრობის, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს.

ძალიან გაგვახარა თქვენმა ჩამოსვლამ, თქვა ვ. პ. მჟავანაძემ. სულითა და გულით ვეგებებით მომძლე კუბის წარმომადგენლებს. საქართველო გულითადად იგებს ფიდელ კასტროსთან შეხვედრას. საბჭოთა ხალხისათვის თქვა შემდეგ ვ. პ. მჟავანაძემ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხისათვის, მახლობელი და გასაგებია კუბის უაღრესად ხალხური რევოლუცია. კუბის რევოლუციის წარმატებები საბჭოთა ადამიანების, ისევე როგორც დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის სიამაყის გრძნობას იწვევს. საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა მარადიული და ურღვევია!

კუბის ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრული კავშირი განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება. საბჭოთა ხალხთან გვაერთიანებს საერთო იდეალები, თქვა მან.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების მრჩეველი ს. ვ. დუნინი. (საკდესი).

რესპუბლიკის სხვა მრავალ საწარმოსთან ერთად თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა თერთმეტი თვის საწარმოო დავალება და მომხმარებელს მიაწოდა ათეულ ათასობით მეტრი ზეგეგმითი აბრეშუმის ქსოვილი. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ეკაერდული წარმოების საქსოვი საამქროს უფროსს ინჟინერ თორნიკე ჯაბუას და წუნმდებელ მზია გურესაშვილს, რომლებიც ამოწმებენ ხვმი ქსოვილის ხარისხს.

კარგი მაჩვენებლებით ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა თბილისის მეორე საწარმოს — „თბილელექტროზოლიტის“ კოლექტივმაც. ქარხანა ელექტროტექნიკური საწარმოებისათვის ამზადებს საიზოლაციო მასალებს. მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია მიკალენტის საამქროს ოსტატი იზოლდა ჯოფუა, რომელიც ნახელავს უფროწმებს მოწინავე მუშა ვენერა ბოლოთაევას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უპატაკეგენ სამშობლოს

ქუთაისი. ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა თერთმეტი თვის გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა და განვლილ პერიოდში გასული წლის 80 პროცენტის ნაცვლად 96 პროცენტამდე აიყვანა პირველი ხარისხის ავეჯის დამზადება. მიმდინარე წელს დამზადებულ ავეჯზე ფაბრიკას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

ქუთაისელმა მეავეჯეებმა წარმატებით აითვისეს უმაღლესი ხარისხის საწოლი გარნიტურის, ტელევიზორის მაგიდების, წიგნის თაროების, ჟურნალგაზეთების მაგიდებისა და ქვეშაგების შესანახი სკივრის წარმოება. (საკ. კორ.).

ზუიბული. კურსების გრანიტი, რომელიც უძვირფასეს სამშენებლო მასალას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება. აქ ერთი კვირით ადრე უპატაკეს სამშობლოს პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმის შესრულება. გამოშვებულია 50 ათას მანეთისაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ს. მერკვილაძე.

მოძმე ხალხთა ურღვევი კავშირი

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მიტინგი

ნლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების საფუძველზე, სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების ლენინური იდეების სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა. ამ უანგარო მეგობრობის ახალი გამოხატულებაა მომმე ქვეყნის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის **ანტონინ ნოვოტნის** მეთაურობით.

3 დეკემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ამ ვიზიტსა და მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 21 წლისთავს.

მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს **ა. ნოვოტნის**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს **ი. ლენარტს**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს **ო. შიმუნეკს**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **მ. სპოლჩიკს**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს **ო. ჩერნიკს**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ სამეურნეო ბანკის ადმინისტრატორ **ვ. დავიდს**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში **ო. პავლოვსკის**, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გროშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, პ. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი.**

მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა.** შეკრებილთა სახელით ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს, ხოლო მათი სახით სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელს მან მიულოცა საერთო დიდი დღესასწაული — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების 21 წლისთავი. ღრმად ვართ დარწმუნებული, მიმართა ნ. გ. ეგორიჩევმა დელეგაციის წევრებს, რომ თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობას. ჩვენი ხალხები მხარდამხარ იბრძვიან მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის.

ზეიმურად ეღერს დარბაზში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დედაქალაქის მშრომელთა სახელით მომმე ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმა მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე **კომუნისტური შრომის** დამკვრელი **ე. მ. დიანოვი.** მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, განაცხადა მან, უაღრესად მხურვალე გულითადი გრძნობით ეკიდებიან ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, მის კომუნისტურ პარტიას. ჩვენი მეგობრობა შემოწმებულია დროთა განმავლობაში, გამოცდილი და გამოწრთობილია ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ომის მრისხანე წლებში.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი **ვ. ა. კოტელნიკოვი.** ჩვენი ქვეყნების ხალხებს მომმე ხალხებს უწოდებენ, თქვა მან. ბევრი რამ გვანთესავებს და უწინარეს ყოვლისა ის, რომ ჩვენ გვაქვს საერთო იდეალები, საერთო მისწრაფებანი და ერთი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

მოსკოვის კომკავშირელთა 800 ათასიანი არმიის, დედაქალაქის ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით დელეგაციის წევრებს მგზნებარედ მიესალმა № 36 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი **ნ. ვ. ეფდოკიმოვა.** მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების კოლექტიური წევრის — ინტერნატის პიონერთა რაზმიეულს მიენიჭა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის სახელი. სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის მუზეუმში ინახება სათუთად შეგროვებული მასალები ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელოვანი შვილების იან ნელეპკასა და ოტოკარ იაროშის შესახებ, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდებანი მიენიჭათ გმირობისათვის ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დასასრულ ინტერნატის მოსწავლეთა სახელით მასწავლებელმა მგზნებარე პიონერული სალამი გადასცა ჩეხოსლოვაკიელ მოსწავლეებს.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ნოვოტნი!
ძვირფასო ამხანაგო ლენარტ!
ძვირფასო ჩეხოსლოვაკიელო მეგობრებო!
ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!

დღეს მოსკოვის მშრომელთა წარომადგენლები შეიკრიბნენ, რათა მიესალმონ მომმე ჩეხოსლოვაკიის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას — ამხანაგებს ანტონინ ნოვოტნის, იოზეფ ლენარტს, ოტოკარ შიმუნეკს, მიხაილ საბოლჩიკს, ოლდრიხ ჩერნიკს, ვაცლავ დავიდს, ოლდრიხ პავლოვსკის.

ჩვენ კარგ ჩვეულებად გვექცა რეგულარულად ვხვდებოდეთ სოციალიზმის ქვეყნებიდან ჩამოსულ მეგობრებს, ერთმანეთს ვუზიარებდეთ გამოცდილებას, ერთად განვიხილავდეთ მომავლის გეგმებს. ასეთ შეხვედრებს დიდი სარგებლობა მოაქვს. ეს შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებენ სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხების ძმურ ურთიერთობას. ყველა შეკრებილის სახელით მინდა ჩვენს სტუმრებს ვუთხრა:

ძალიან გაგვახარა, თქვენმა ჩამოსვლამ, ძვირფასო მეგობრებო! თქვენი სახით საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან მთელი ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, უსურვებენ ბედნიერებას, აყვავებას, დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში!

ყველას, ვინც კი ყოფილა სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში, ვიცაც უნახავს პრაღა ან ბრატისლავა, ბრნო ან პლზენი ან ამ ლამაზი ქვეყნის სხვა ქალაქები და რაიონები, შეეძლო თვალნათლივ დარწმუნებულიყო, თუ როგორ მშვენიერდება ჩეხოსლოვაკიის ძველთაძველი ქვეყანა, რა შესანიშნავი შედეგი მოაქვს მუშათა და გლეხთა ხარმამხარ, როცა ისინი თავიანთთვის, ხალხის ბედნიერებისათვის, თავიანთი შვილების ბედნიერებისათვის მუშაობენ.

უკვე არაერთხელ თქმულა, რომ სოციალიზმის ქვეყნები სწრაფი ტემპით ავითარებენ თავიანთ ეკონომიკას. იმპერიალისტური პროპაგანდა იმასაც კი ცდილობდა რომ წარმოესახა ეს კომუნისტთა ბაქიაობად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენში თავს იჩენდა ესა თუ ის სიძნელე. მაგრამ ბურჟუაზიულ პროპაგანდისტთა ეერავითარი აკვიატება ვერ დაუმალავს ხალხებს იმ ჭეშმარიტად საკვირველ შემოქმედებითს ძალას, რასაც სოციალიზმი ანიჭებს ადამიანებს.

ცნობილია, რომ ჩეხოსლოვაკია წინათაც ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა იყო. მაგრამ მხოლოდ სოციალიზმს პირობებში მასი ეკონომიკა და უწინარეს ყოვლისა მრეწველობა ისე სწრაფად და ყოველმხრივ განვითარდა, რომ ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთ ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა.

ოთხჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ინგლისში, სამჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ბელგიაში, იზრდებოდა სამრეწველო წარმოება ერთ სულ მოსახლეზე ჩეხოსლოვაკიაში, ამ ბოლო 15 წლის მანძილზე. სოციალისტურმა ჩეხოსლოვაკიამ ერთ სულ მოსახლეზე თუჯისა და ფოლადის წარმოებით გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი. თამამად შეიძლება ითქვას, ამხანაგებო: ეს ჩვენი მეგობარი ქვეყნის ეკონომიური განვითარების კარგი შედეგია.

განსაკუთრებით საგულისხმოა სოციალიზმის წარმატებანი სლოვაკიის განვითარებაში. წინათ ეს იყო ჩამორჩენილი აგრარული მხარე, სადაც მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევდა. ახლა კი ახალი სლოვაკია მძლავრი თანამედროვე ინდუსტრიისა და ენერგეტიკის მხარეა. აქ შეიქმნა მოწინავე ქიმიური მრეწველობა, შენდება ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეტალურგიული კომბინატი, მძლავრად განიცდა სიბნინო მშენებლობა.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის უდიდეს შემოქმედებით საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელოვანი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია. ხალხს სჯერა თავისი მშობლიური პარტიისა, თავის მებრძოლ ნაცად ავანგარდად მიაჩნია იგი. ეს ნდობა გამოიხატა იმითაც, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ამხანაგი ანტონინ ნოვოტნი კვლავ ერთსულოვნად აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტად მაღალ პოსტზე. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ერთხელ კიდევ გულითადად მივულოცო ამ ტრიბუნადან ყველა დამსწრის სახელით ჩვენს დიდ მეგობარს. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა! სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ნოვოტნი, ახალ წარმატებებს თქვენს დაუცხრომელ საქმიანობაში ჩეხოსლოვაკიელი ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ახალ ვამარჯვებათა მისაღწევად!

ამხანაგებო!

კომუნისტების ყველაზე მაღალი მოვალეობაა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია იბრძოლოს იმისათვის, რომ განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, რომ ამის შედეგად სულ უფრო კარგად ცხოვრობდნენ საბჭოთა ადამიანები.

საბჭოთა კავშირის წარმატებები სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში დიდი და უდავოა. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო, ბევრი რამ გვაქვს ისეთი, რასაც კმაყოფილებით ეს სიხარულით შეგვიძლია გადავალოთ თვალი. მაგრამ ჩვენ უწინარეს ყოვლისა წინ ვიყურებით. ჩვენ გვაქვს ბევრი გადაუწყვეტი ამოცანა. სწორედ ამ ამოცანებს მიაპყრობს ჩვენი პარტია მთელი ხალხის ყურადღებას.

ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შემდგომაც განვითაროთ ჩვენი მრეწველობა, უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, გავუმჯობესოთ მთელი ჩვენი პროდუქციის ხარისხი. სწორედ ამ საფუძველზე ვიბრძოლებთ, ამხანაგებო, რომ წლითწლობით ვაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა.

რა თქმა უნდა, ამ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს დიდ მეცადინეობას, საჭიროა გულმოდგინე, ბეჯითი მუშაობა, დიდი აქტივობა და თვითეული საბჭოთა ადამიანის პასუხისმგებლობა თავისი მუშაობის უბნისა და ჩვენი საერთო საქმისათვის. საჭიროა ეკონომიკის ყველა უბნის ხელმძღვანელობის სრულყოფის კარგად მოფიქრებული ღონისძიებანი, წარმოების ორგანიზაციისადმი ნამდვილი მეცნიერული მიდგომა.

ჩვენ გვაქვს წინასწლის ნათელი და საიმედო კურსი. ეს არის კურსი, რომელიც განსაზღვრეს ჩვენი პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებმა, რომელიც ჩამოყალიბებულია მის პროგრამაში. არა მარტო კომუნისტებს, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანს თავისად მიაჩნია ეს პროგრამა, მთელ ენერგიას აბრალს ბრძოლას მისი განხორციელებისათვის. და არ არსებობს, ამხანაგებო, ქვეყნად ისეთი ძალა, რომ ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი აიცდინოს დასახულ ისტორიულ გზას — კომუნიზმის აშენების გზას!

რაც ეხებოდნენ ჩვენს მეგობრებს, სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს, ბუნებრივია, ვლაპარაკობთ იმ დიდ მეგობრობაზე, რომელიც აერთიანებს და აკავშირებს ჩვენს ხალხებს, ერთი გზით მიპყავს ისინი საერთო დიადი მიზნებისაკენ. ჩვენ მდიდარი ვართ არა მარტო იმ ფასეულობებით, რომლებიც ბუნებამ მოგვცა, რომლებსაც ხალხი ქმნის თავისი შრომით, ჩვენ მდიდარი ვართ აგრეთვე ერთგული და საიმედო მეგობრებით. სწორედ ასეთ მეგობრად მიიჩნიათ საბჭოთა ადამიანებს მომმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხი.

ჩვენმა მეგობრობამ დროის გამოცდას გაუძლო. იგი განმტკიცებულია ისტორიული ტრადიციით, კულტურების სიახლოვით, ჩვენი ხალხების დიდი ხნის ურთიერთ სიმპათიებით. მაგრამ ჩვენი მეგობრობის სიმტკიცეს ახლა უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს ჩვენი საერთო იდეოლოგია და ჩვენი ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების საერთო მიზნები. ჩვენი ხალხები თანამებრძოლი ხალხები, მოძმე ხალხები არიან, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან კომუნიზმისაკენ.

როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე ჩეხოსლოვაკიისთვისაც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ყოველმხრივი ეკონომიური თანამშრომლობა. იგი ვითარდება მრავალი მიმართულებით. ჩვენს ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ, რითაც შეუძლიათ დაეხმარონ ერთმანეთს სამეურნეო განვითარებაში, და ჩვენ ამას ვაკეთებთ ძმურად, სოციალისტურად ჩვენი საერთო სარგებლობისა და ურთიერთ კეთილდღეობისათვის.

ბევრ საბჭოთა საწარმოში საუცხოოდ მუშაობენ ჩეხოსლოვაკიის ჩარხები და მანქანები. ჩვენი საბჭოთა ტექნიკა კი საიმედოდ ემსახურება ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს მათი მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდება აღმოსავლეთ სლოვაკიის ძლავრი მეტალურგიული კომბინატი და ზოგიერთი სხვა საბრეწველო საწარმო. ხოლო ჩეხოსლოვაკია უახლოეს ხუთწლედში მოგვაწვდის მოწყობილობას 80-ზე მეტი ქიმიური ქარხნისათვის. ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში კარგად მუშაობს ჩეხოსლოვაკიური წარმოების ათობით შაქრის ქარხანა.

ეკონომიური თანამშრომლობა უზრუნველყოფს სულ უფრო გაცხოველებულ კონტაქტებს ჩვენს მოძმე ხალხებს შორის საქმიანობის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან დარგებში, როგორიც მეცნიერება და წარმოებაა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის სამი ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი იყო პრაქტიკაზე სსრ კავშირში, ხოლო 1.600-ზე მეტი ჩვენი სპეცი

მოძმე ხალხთა უფლებათა კავშირი

(დასასრული)

მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნების სათავეში მდგომი კომუნისტური პარტიების ძმური ურთიერთობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე.

და ჩვენთვის სასიამოვნოა დღეს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ყველა ამ საკითხში ერთი აზრისა ვართ ჩვენ და ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები.

ამხანაგებო! ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ უზრუნველყონ ხალხებისათვის მშვიდობიანი პირობები სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად. ჩვენ გვახარებს, რომ ამავე მიზანს ისახავენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და ხალხი. ეს დიდი, კეთილშობილური მიზანია. იგი მოითხოვს მუდმივ მეცადინეობას, რათა აღმოიფხვრას ყველაფერი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ომის საშინელებანი. ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობთ ჩვენი კომუნისტური რწმენის შესაბამისად. და შთაგვაგონებს ის, რომ ჩვენს კურსს იწონებენ და მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

ჩეხოსლოვაკიისთვისაც, საბჭოთა კავშირისთვისაც, ისევე როგორც ევროპის ბევრი სხვა ქვეყნისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისა და გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემას. არასოდეს არ დავივიწყებთ იმ ხალხთა ტანჯვას, რომელთა ქვეყნები გადაბეგა გერმანელი მილიტარისტების მიერ ატეხილი ომის ხანძარმა. ჩვენ მარად გვეხსომება საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის მილიონობით მამაცი პატრიოტი, რომლებმაც თავი დასდეს პიტლერული მონობისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ხსოვნა ბევრ რამეს გვაფიქრებს.

უკვე ორი ათეული წელია ევროპა უომოდ ცხოვრობს. ეს სასიხარულო ფაქტია. აქ თავი იჩინა ხალხთა მეცადინეობამ მშვიდობისათვის ბრძოლაში და, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების მტკიცე ბრძოლამ მშვიდობის დასაცავად, ომის იმპერიალისტი გამჩაღებლების წინააღმდეგ, მაგრამ შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ მშვიდობა ევროპაში, ევროპის ხალხთა უშიშროება უკვე უზრუნველყოფილია? არა, სამწუხაროდ, ეს სულაც არ არის ასე.

ნატოს სამხარი მზადება, უცხოეთის ჯარების ყოფნა ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე, დასავლეთგერმანელი მილიტარისტების რევანშისტული მისწრაფებანი საფრთხეს უქმნიან ხალხთა უშიშროებას, აშფოთებენ მდგომარეობას ევროპაში.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ზოგიერთმა სახელმწიფომ საშიში თამაში დაიწყო ეგრეთწოდებული მრავალმხრივი ატომური ძალების გარშემო. ახლა ნატოში უკვე დაეპატენ, თუ როგორი იქნება ეს ძალები, რამდენი თითი დაედება „ატომურ ღილაკს“. მაგრამ, რიო

აც უნდა დამთავრდეს ეს დავა, ერთი რამ ცხადია: მზადდება ახალი საშიში დათმობა დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული წრეების მადის დასაკმაყოფილებლად, სურთ ისინი ჰაჯან ატომური ომის მზადებაში.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მტკიცედ ილაშქრებს ამის წინააღმდეგ. ჩვენი მტკიცე და უცილობელი მოთხოვნაა ხელში არ ჰაგუდოთ ატომური იარაღი დასავეთ გერმანიას. ეს სამართლიანია, ვინაიდან შეესაბამება მშვიდობისა და ყველა ხალხის უშიშროების ინტერესებს. ხალხებს გაძალებული ატომური შეიარაღება კი არ ესაჭიროთან, არამედ რეალური ღონისძიებანი ატომური იარაღის გარეცელების წინააღმდეგ, ატომური ომის წარმოშობის საფრთხის წინააღმდეგ.

ჩვენი ბრძოლა მრავალმხრივი ატომურ ძალების წინააღმდეგ არის ბრძოლა დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, მომზადებული საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისთვის.

ამ ბრძოლაში ჩვენი უმნიშვნელოვანესი მიზანია მივაღწიოთ ატომური იარაღის სრულ აკრძალვასა და მოსპობას. სამედამოდ ვიხსნათ ხალხები ატომური ომის ცეცხლში მოსპობის საფრთხისაგან. საბჭოთა კავშირმა ეუო დიდი ხანია წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი ამის თაობაზე და ეს წინადადებანი ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ამ საკითხებზე თავიანთი წინადადებანი წამოაყენეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. ამას წინათ ასეთივე ინიციატივა გამოიჩინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამაც. ყოველივე ეს ყურად უნდა იღონ.

მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირი მაქსიმუმ კეთილ ნებას იჩენდა და იჩენს, როცა ცდილობს მოლაპარაკების გზით გადაჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენ მტკიცედ ვიცავთ სხვადასხვა, საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის მტკიცე მომხრენი ვართ, ჩვენ გადაჭრით და შეურიგებლად ვილაშქრებთ იმით წინააღმდეგ, ვისაც სურს დაარღვიოს ეს მშვიდობიანი თანაარსებობა, საკადრის პასუხს ვცემთ იმპერიალისტთა პროვოკაციებს, მათს ყოველგვარ ცდას ხელყონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ყოველი ღონისძიებით ვუპერთ მხარს ამ ხალხთა სამართლიან ბრძოლას.

ამ ბოლო დროს მსოფლიომ აღშფოთებით შეიტყო, რომ იმპერიალისტებმა და კოლონიზატორებმა ახალი აგრესიული აქტები ჩაიდინეს.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავებმა და სამხედრო ხომალდებმა კვლავ ცეცხლი დაუშინეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას. აგრესიის ეს აქტები აღშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირა, ჩვენ უკვე განვაცხადეთ საჯაროდ: საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება მომძე სოციალისტური ქვეყნის ბუდისადმი და მზად არის ასეთი ფარმარება გაუწიოს მას. დე იმპერიალისტები ერიდონ ცეცხლთან თამაშს! ეს საშიში თამაშია!

გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგრესიული პოლიტიკა კუბის მიმართ. ეკონომიური ბლოკადა, პროვოკაციები კუბის სუვერენიტეტის დარღვევა სერიოზულად წამლავს არა მარტო ვითარებას კარიბის ზღვის რაიონში, არამედ მთელ საერთაშორისო ატმოსფეროსაც. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ ასეთ პოლიტიკას და კვლავ ვაცხადებთ: საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კუბის რესპუბლიკას, საბჭოთა ხალხი სრულ სოლიდარობას უცხადებს გმირ კუბელ ხალხს, რომელიც იცავს თავის რევოლუციურ მონაპოვრებს და თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას!

აფრიკაში, მრავალტანჯულ კონგოში კვლავ თარეშობენ კოლონიზატორები. აშკერად მათ სავსებით აშკარა მოქმედება არჩიეს და თავი ანებეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით შენიღბვას. ხოცვა-ჟლეტა, რაც კონგოს ქალაქებში მოაწყეს ბელგიელმა პარაშუტისტებმა, რომლებიც ამერიკის თვითმფრინავებით ჩაყიყანეს იქ თეთრი სახლის დასტურითა და ნატოს საბჭოს თანხმობით, კოლონიზატორთა კოლექტიური მეკობრეობის მკაფიო მაგალითია.

კონგოს პატრიოტების წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენცია განხორციელდა თეთრკანიანი დიპლომატებისა და მისიონერების „უშიშროების უსაფრთხოების“ ფარისევლური საბაბით. ეს საბაბი ახალი როდია. იმპერიალისტები უკვე ასეოდე წელია სარგებლობდნენ ამ საბაბით, თავიანთი კოლონიური ძარცვისა და იმ ქვეყნების მოსახლეობისთან ანგარიშის გასწორების „დასასაბუთებლად“, სადაც ისინი შეიჭრებოდნენ ხოლმე.

ამერიკის დეპეშათა სააგენტოებმა სიხარულით ამცნეს მსოფლიოს, რომ ბელგიელმა პარაშუტისტებმა და ჩომბეს რაზმებმა სტენლივილის ქუჩებში ასობით კონგოელი პატრიოტი გაჟლიტეს. „არავის არა აქვს არც დრო, არც სურვილი გვამები თვალოს“, — ციინიკურად არის ნათქვამი ერთ-ერთ ასეთ ცხობაში. მაგრამ კონგოელი პატრიოტები არ ნებდებიან. მათ საკადრისი პასუხი გასცეს ინტერვენტებს და კვლავ იბრძვიან იმპერიალისტი აგრესორებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლაში კონგოს პატრიოტები იწრთობიან, ძალას იკრებენ შეტაკებებისა და გადამწყვეტი გამარჯვებებისათვის. მათ მხარეზეა მთელი აფრიკა, მათ მხარეზე არიან მთელი მსოფლიოს თავისუფლებისა და მშვიდობის ძალები.

აფრიკის ხალხები ახლა უეარაღნი, უმწეონი როდი არიან. ისინი მზად არიან მოიბოვონ და დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა — ეს დიდი ძალაა, რომელიც ქედს არ მოიხრიან იმპერიალისტთა შეთქმულებების წინაშე. შეგვიძლია ეს ერი ვიქნიოთ, რომ იმპერიალისტი ინტერვენტები, რომლებმაც უკვე შეარცხვინეს თავი მთელი მსოფლიოს ხალხების თვალში, როცა სისხლისმღვრელი ავანტიურა დაიწყეს კონგოში, საბოლოოდ სავსებით დამარცხდებიან.

კონგო საბჭოთა კავშირს დიდი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ საბჭოთა ადამიანები თანაგრძნობით ეკიდებიან კონგოელი ხალხის საქმეს. საბჭოთა კავშირი, რომელიც თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულია და განუხრელად უჭერს მხარს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მტკიცედ იცავს კონგოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს. კოლონიზატორთა კოლექტიურ აქციას ენდა დაუბირისპირდეს მთელი იმ ძალების ერთსულოვანი წინააღმდეგობა, რომლებიც ხალხთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ!

იმპერიალისტური ძალების აქტივიზაცია გადაჭრით მოითხოვს ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის განმტკიცებას. მხოლოდ ასე ჩავფუშავთ კოლონიზატორთა პროვოკაციებს, გადაულახავ ზღუდეს აღვმართავთ მათს გზაზე.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანმედროვეობის სამი დიდი რევოლუციური ძალაა, ისინი ახლა ეყრდნობიან არა მარტო კეთილშობილურ და სამართლიან იდეებს, არამედ უზარმაზარ მატერიალურ ძალასაც. როცა ერთად მოქმედებენ და ერთმანეთს ეხმარებიან, ირაზრების ანტიიმპერიალისტურ ფრონტში, ამ ძალებს შეუძლიათ ჩაფუშონ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის აგრესიული მოქმედება, მიაღწიონ მშვიდობის განმტკიცებას და თავისუფალი სოციალური პროგრესისათვის პირობების შექმნას.

იმისათვის, რომ წარმატებით გაუუწიოთ წინააღმდეგობა იმპერიალისტებს, დიდმნიშვნელოვანი პირობაა საერთაშორისო მუშათა კლასის, მისი კომუნისტური პარტიების საბრძოლო სოლიდარობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც. ყველაფერს იღონებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა დაგძლიოთ სიძნელენი კომუნისტურ მოძრაობაში. შეეკავშირთ იგი მოსკოვის თათბირების დელეგარაციისა და განცხადების პრინციპულ საფუძველზე. ამას გადაჭრით მოითხოვენ ხალხთა ძირეული ინტერესები, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესები. ამ მხრივ ჩვენ და ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები და ძმები სავსებით ერთი აზრისა ვართ.

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიების საბრძოლო სოლიდარობა, ჩვენი ხალხების მეგობრობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეებისადმი ერთგულების მესანიშნავი ნიშნია. ჩეხოსლოვაკიელმა კომუნისტებმა გამოაცხადეს ლოზუნგი, რომელიც მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ლოზუნგად გახდა: „სე სოვეტს�ით სკაზუმ და ვეჩნი ჩისი“, რაც ნიშნავს „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად“.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის კეთილშობილურ ძმურ გრძნობებს ვუპასუხებთ ასეთივე ღრმა ძმური გრძნობებით, ერთგულებას —ერთგულებით. მარად თქვენთან ვართ, ძვირფასო ჩეხოსლოვაკიელო მეგობრებო!

პირობას გაძლევთ, რომ საბჭოთა ადამიანები ყველაფერს იღონებენ, რათა ჩვენი ქვეყნების შეკავშირება და თანამშრომლობა განუხრელად ეფთარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, ჩვენი საერთო საქმის — მშვიდობისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

დღეგრძელობდეს და მარად ჰყვაოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა დიადი მეგობრობა!

გაუმარჯოს მძლავრი სოციალისტური ბანაკის ერთიანობას!
გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

* * *

დარბაზში იმართება ოვაცია, როცა ტრიბუნაზე ადის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი.

ამხანაგ ა. ნოვოტნის სიტყვა

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო!
ამხანაგო ბრეჟნევ, ამხანაგო მიკოიან, ამხანაგო კოსიგინ!
მეგობრებო!

ჩვენს პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას დიდ პატივად მიაჩნია, რომ შესაძლებლობა მიეცა გამოვიდეს სსრ კავშირის დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგზე. უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ, ხოლო თქვენი საშით მთელ საბჭოთა ხალხს ჩეხოსლოვაკიელ მშრომელებს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის სახელით და გისურვოთ წარმატებანი შრომასა და ცხოვრებაში.

ჩვენ სიხარულით მივიღეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევა ჩამოვსულიყავით თქვენს ქვეყანაში. ამ ვიზიტმა ყველა უნდა დაადასტუროს, რომ ურღვევია საბჭოთა ხალხსა და ჩეხოსლოვაკიელ ხალხს შორის მტკიცე მეგობრობა და კავშირი.

უახლოეს დღეებში 21 წელი უსრულდება ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ეს პერიოდი ჩვენი რესპუბლიკის ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხს შორის ამხანაგური და გულწრფელი ურთიერთობის დადასტურებაა.

ჩვენი ლოზუნგი: „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად“ გამოხატავს ჩვენი ხალხის რწმენას და კომუნისტურ პერსპექტივას და ხალხის გულის სიღრმიდან მოდის. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გაგლენით შეიქმნა 1918 წელს დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო. მაღლობით აღვნიშნავთ საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ როლსა და დამსახურებას გერმანულ-ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებაში, იმას, რომ ჩვენმა განთავისუფლებამ 1945 წელს შესაძლებლობა მისცა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს დასდგომოდა სოციალიზმის გზას და განეხორციელებინა ის მიზნები, რომლებისთვისაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი წლის მანძილზე იბრძოდნენ ჩვენი ძუშათა კლასი და ჩვენი ქვეყნის ხალხთა პროგრესული ძალები. ვადგავართ რა ამ გზას, ჩვენ მივაღწიეთ სოციალიზმის გამარჯვებას ჩეხოსლოვაკიაში მხოლოდ იმის მეხმარებით, რომ შეგვეძლო დაეყრდნობოდით საბჭოთა კავშირს, ყოველმხრივ თანამშრომლობას, რამაც უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების საიმედო პერსპექტივა.

ყოველივე ამას განსაკუთრებული ძალით ეგრძნობთ სწორედ ახლა, როცა ვზეიმობთ საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მეოცე წლისთავს. ამ ძმურ მეგობრობას საფუძვლად უდევს ჩვენი კომუნისტური პარტიების იდეური ერთობა. ამ ერთობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება, იგი გამოიჭრთობა ორივე ჩვენი კომუნისტური პარტიის მრავალი წლის თანამშრომლობით. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ყოველთვის მტკიცედ იდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხარდამხარ, აქტიურად უჭერდა მხარს შეიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მის პოლიტიკას, იუნებდა მის მდიდარ გამოცდილებას. ამ ბოლო წლებში ეს ერთობა განმტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებმა. ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული ეგრეთვე ჩვენი ვიზიტი თქვენს ქვეყანაში. ჩვენ აქ ჩამოვედით, როგორც ეს მიღებულია მეგობრებს შორის, რათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ერთად განვიხილოთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური საკითხები და მოსაზრებანი და ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიური და იდეური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას და მთელი სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას.

შეხვედრებმა და მოლაპარაკებებმა, რომლებიც დღევანდლამდე გვქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, საკმაოდ ცხადყო, რომ ჩვენ შორის არსებობს ურთიერთ გაგება და შეხედულებათა ერთიანობა ყველა ძირითად საკითხში.

გასული წლების მანძილზე ჩვენს ქვეყნებს შორის შეიქმნა ფართო ეკონომიური თანამშრომლობის ურთიერთობა, რაც სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებითი მშენებლობის ფაქტორი გახდა.

ამ თანამშრომლობის თანდათანობით გავრცელება საქმიანობის სხვა დარგებზე, კერძოდ, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგზე, და შედეგები, რომლებიც აქ მიღწეულია, მხოლოდ ადასტურებენ, რომ არჩეული გზა სწორია და მხოლოდ სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ორივე ქვეყნის ხალხებს. თქვენ გვეხმარებით უზრუნველყოთ ჩვენი მრეწველობის ნორმალური მუშაობა. მადნის, ნავთობის მოწოდება, მათი ოდენობის მეოხებით, წარმოების ბაზაა ჩვენი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისათვის, ხოლო მარცვლეულის მოწოდება მნიშვნელოვანწილად საშიალებას გვაძლევს უზრუნველყოთ სურსათი მოსახლეობა, განვამტკიცოთ ამით ჩვენი ეკონომიური პოზიციები კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ. ჩვენი მხრივ მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია ამ დახმარების პასუხად მოგაწოდოთ ჩვენი მანქანათმშენებლობის ნაკეთობანი, რომლებითაც თქვენ აღჭურავთ თქვენს ახალ ქარხნებს, მოგაწოდოთ ზოგიერთი სახეობის ჩვენი ნედლეული, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონელი, რომლებსაც მნიშვნელოვანი მოცულობით ყიდულობთ საბჭოთა კავშირი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების კურსის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ დასახა ჩვენი ეკონომიის საბჭოთა ეკონომიასთან თანდათანობით დაახლოების გეზი.

ჩვენი ეკონომიკისა და საბჭოთა ეკონომიკის დაახლოება ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს არა მარტო როგორც თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება, არამედ უწინარეს ყოვლისა როგორც გადასვლა თანამშრომლობის ოვისებრივად უფრო მაღალ პროგრესულ ფორმებზე, რომლებსაც საფუძვლად უდევს შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება, სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერაცია, მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის კოორდინაცია, და სხვ.

ჩვენ, ბუნებრივია, ამ დაახლოებას ამოცანას ეითვალისწინებთ და მხედველობაში გვაქვს განსხვავებანი საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობებსა და მასშტაბებს შორის. მაგრამ უკვე დღეს ჩვენი გამოცდილება სავსებით აღასტურებს და, ვფიქრობთ, ორივე ეკონომიკის მასშტაბების განსხვავებათა მიუხედავად ადასტურებს, რომ ეკონომიური განვითარების გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ მხოლოდ ასე შეგვიძლია უზრუნველყოთ სწარმომ ძალების განვითარების პროგრესი, გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა და მეცნიერების მიღწევები საწარმოო პროცესში.

ამხანაგებო, ჩვენ მეგვარნია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დაახლოებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის ჩეხოსლოვაკიაში, არამედ ეს დაახლოება ამასთანავე ეუცილებელი პროცესია ძალების თავმოყრისა იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი საერთო ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალიზმს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მთელ ყურადღებას დავუთმობთ მხოლოდ ამ ამოცანის გადაჭრას და მხედველობაში არ მივიღებთ მთელი მსოფლიოს ცხოვრების, კერძოდ, კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობას. ჩვენ ხომ უნაყოფო მეოცნებენი არა ვართ და ვიცით, რომ კაპიტალისტურ სამყაროს ხვალ რიდი გაკუსწრებთ. ჩვენ ვიცით დასავლეთის მრეწველობის მაღალი ტექნიკური დონე, ვიცით, რომ ბევრი მაჩვენებლით იგი ჩვენი მრეწველობის დონეზე მაღალია. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და რომ საჭიროა გონივრულად გავაერთიანოთ სოციალიზმის მთელი ძალები, რათა თანდათანობით აღმოვფხვრათ ასეთი მდგომარეობა.

ჩვენ კომუნისტები ვართ და ვიცით, როგორ ვიაროთ წინ. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ეს გზა ადვილი არ არის, რომ ამ გზაზე ბევრი დაბრკოლებაა, განპირობებული როგორც ჩვენი წარსულით, ისე ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობებითა და ობიექტური მდგომარეობით.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვებამ უდიდესი შესაძლებლობანი დასახა მეურნეობის სოციალისტური ბალანსისათვის. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე, იმაზე, როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკონომიურ დარგში არსებული შესაძლებლობანი, როგორ შეგვიძლია განვავითაროთ ადამიანის შემოქმედებითი ნიჭი. თუ ადამიანს შესაძლებლობა მივეცემა ბოლოს განთავდა, დაეუფლოს მეცნიერებას, ტექნიკას, გაიფართოოს ეზროვნების არე, თავის მხრივ იგი ხელს შეუწყობს მთელი საზოგადოების დონის ამაღლებას. ეს ჩვენი მიზანია.

ეს არის სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ამ მხრივ კაპიტალიზმი ვერასოდეს ვერ შეგვეღრება, და ამიტომ ჩვენ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ეს უპირატესობა.

ჩემს გამოსვლაში აეროდრომზე ვთქვი, რომ გვწამს საბჭოთა ხალხის სიდიადე, მისი შემოქმედებითი ძალა და დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტმა იდეები ამ ძალაც გაუღვიძებს საბჭოთა ხალხს ახალი დიადი გამარჯვებებისაკენ. თუ ამ აზრს განვავითარებთ, მე ვიტყოდი, რომ საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დგას უდიდესი ამოცანები, რომ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და მთელი სიმდიდრე, რაც საბჭოთა ქვეყანას აქვს. ამ შესაძლებლობათა გამოყენება ნიშნავს საბჭოთა კავშირის უდიდეს აღმავლობას, და საბჭოთა ხალხი შექმნის მდიდარ საბჭოთა საზოგადოებას, რომელსაც ბადალი არ ეყოლება მსოფლიოში.

საბჭოთა ხალხის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია. მოკლე ვადაში აღმორთხვა შედეგები საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის საშინელი ნგრევისა, რაც ფაშისტმა დაშყორობლებმა მოახდინეს. ამასთან საბჭოთა ქვეყანა სწრაფი ტემპით აყენრობს ახალ მიწებს. ამას დღემდე ვერ მიაღწია ვერც ერთმა ქვეყანამ. ამიტომ ყველა ეიმეორებ: ჩვენ გვწამს საბჭოთა ხალხის სიდიადე და მისი შემოქმედებითი ძალები.

ამხანაგებო!

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ შეეეთანხმდით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ მოღვაწეებს ერთად გადაეჭრათ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური საკითხები სწორედ ახლა. ამიტომ ჩვენ უშუალოდ ვმუშაობთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების არა მარტო 1965 წლის, არამედ აგრეთვე 1966-1970 წლების გეგმის შედგენაზე. ამ გეგმის შესრულება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება, რომ განხორციელდეს პროგრესული სტრუქტურული ცვლილებანი ჩვენს სახალხო მეურნეობაში, უწინარეს ყოველისა მრეწველობაში, მისი ინტენსიფიკაციის გზაზე, რომ მოხდეს ყოველმხრივი რეკონსტრუქცია ყველაზე თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე. ამ მხრივ 1966 და შემდგომი წლები დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება, რომ მოვამზადოთ მატერიალური პირობები, რათა ჩვენი საზოგადოება შეუდგეს კომუნიზმის მშენებლობას.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ გაღრმავდეს ჩვენი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის დანარჩენ ქვეყნებთან აგრეთვე იმიტომაც, რომ სოციალისტურ ქვეყნების თანდათანობითი ეკონომიური დაახლოების ყოველი ნაბიჯი ხელს უწყობს მათი საერთო ძალების განმტკიცებასა და განვითარებას და მათი როლის ამაღლებას საერთაშორისო ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ იმპერიალისტები დაეინებით ცდილობენ უეულმა შეატრიალონ მსოფლიო განვითარების ჩარხი, დაებრუნდნენ კაპიტალიზმისა და რეაქციის უსაზღვრო ბატონობას, ყოველი ღონისძიებით ცდილობენ შეასუსტონ სოციალისტური ქვეყნების ერთობა და, უწინარეს ყოველისა, მათი ერთობა საბჭოთა კავშირთან. ისინი ცდილობენ განხორციელონ ეგრეთწოდებული დიფერენციერებული პოლიტიკა, საკუთარი ძიზნებისათვის გამოიყენონ ყოველი ნიშანი შეხედულებათა განსხვავებისა ჩვენს სოციალისტურ თანამეგობრობაში, რა დარგშიც უნდა ვლინდებოდეს ეს. ამიტომ ჩვენს უპირველეს მოვალეობად მიგვჩნია დავიცვათ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესები, ამ ინტერესებს დავუკავშიროთ ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან სრული თანხმობითა და ერთობით ვაფასებთ ჩვენ ძირითად საგარეოპოლიტიკურ საკითხებს და შეხედულებათა ამ ერთობის შესაბამისად ერთად გამოვდგებით საერთაშორისოს ასპარეზზე. ჩვენს საგარეო პოლიტიკაში თანამიმდევრულად ვხელმძღვანელობთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებით, ვითვალისწინებთ ბირთვული ომის საფრთხეს, ვეძებთ ყველა საშუალებას, ავრეთვე თანმიმდევრულად ვესწრაფვით ინტერნაციონალური დახმარება გავუწიოთ ბრძოლას ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და უშიშროებისათვის.

საერთაშორისო ამბების ახლანდელი განვითარება სავსებით ადასტურებს, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, არსებობს აგრეთვე ომის წარმოშობისა და შეიარაღებული საომარი პროვოკაციების წარმოშობის საფრთხე. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში რა განზრახ ინარჩუნებენ და ამწვავებენ დაძაბულობას, რასაც აღრმავებს იმპერიალისტების, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ძალების შეიარაღებული ჩარევა. ამას მოწმობს კონგოს უკანასკნელი ამბები. აქ ჩამბეს მფარველებმა ბარბაროსულად შეუტიეს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ სახალხო ძალებს. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი გადაჭრით გმობს დაქირავებულთა თარეშს კონგოში, ბელგიელ და ამერიკელ იმპერიალისტთა ჩარევას ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში. მშვიდობის მთელ ძალებთან ერთად ჩვენ მხარს დავუჭერთ წინათ დამონებულ ხალხთა ბრძოლას მათი ქვეყნების დამოუკიდებელი და საზოგადოებრივ-პროგრესული განვითარებისათვის.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სიმპათიები სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების სამართლიანი ბრძოლის მხარეზეა. ეს ძალები იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენციის და შინაგანი რეაქციული ძალების წინააღმდეგ. ჩვენ ვგმობთ პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელთანაც გვაკავშირებს საერთაშორისო სოლიდარობა და სოციალიზმის საერთო ინტერესები. დარწმ

მსოფლიო ამ დღეებში

ა. ა. გრომიკო შეხვდა რასპს

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-19 სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გუშინ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი და ესაუბრა მას. საუბრის დროს მათ კვლავ გაუზიარეს ერთმანეთს აზრი ურთიერთ საინტერესო საკითხებზე, მათ შორის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. ნ. სმირნოვსკი. ამერიკის მხრივ საუბარს დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჯ. სტივენსონი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპის საქმეებში ტაილერი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმეებში ჯ. კლიეტლენდი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ფ. კოლერი და მოადგილე ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩ. პოსტი.

სამართლიანი მოთხოვნები

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ნიუ-იორკის ასობით მცხოვრები მივიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინის შენობასთან, სადაც მუშაობა დაიწყო გენერალური ასამბლეის XIX სესიამ, მათ მოითხოვეს, რომ გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგას საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად, პროტესტი განაცხადეს ამერიკის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამში და მოითხოვეს, რომ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

„დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ვიეტნამში!", „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უნდა იქნეს წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში!", „ატომური იარაღის გამოცდა კი არა, არამედ განიარაღება!" — ეწერა პლაკატებზე, რომლებიც მოჰქონდათ დემონსტრაციის მონაწილეებს. დემონსტრაცია მოაწყო „მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა" მოძრაობამ.

ახალი ალმები ცათამბჯენთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIX სესია

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. შიშკინი და ს. ლოსევი იუწყებიან:

დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცათამბჯენის ფასადთან ისტ-რივერზე აფრიალდა მალავის, მალტისა და ზამბიის ალმები. ამ სამი ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიღების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჰყავს 115 წევრი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, რომელიც გამოვიდა ალმების აღმართვის საზეიმო ცერემონიაზე, აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ახალი ნაბიჯი გადადგა უნივერსალობის გზაზე. ერთხელ კიდევ დადასტურებულია, თქვა მან, რომ ორგანიზაციის რიგების ზრდას უშუალო კავშირი აქვს კოლონიალიზმის აღმოფხვრასთან.

შემდეგ გაიხსნა გენერალური ასამბლეის დილის სხდომა, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებმა მიულოცეს მალავის, მალტასა და ზამბიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღება. უნგრეთის წარმომადგენელმა **კაროი ჩატორდაიმ**, რომელიც გამოვიდა ბულგარეთის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების სახელით, იმედი გამოთქვა, რომ დამოუკიდებელი მალტა ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას ხმელთაშუა ზღვაში. ზამბია და მალავი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ შედიოდნენ როდეზიისა და ნიასალენდის ნეოკოლონიალისტურ ფედერაციაში, ახლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თვითონ შეუწყობენ ხელს აფრიკაში კოლონიალიზმის მოსპობისათვის ბრძოლას. რომელსაც ეწევიან მოძმე აფრიკელი ხალხები, მათ შორის სამხრეთ როდეზიის ხალხი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის პოსტზე არჩეულია დამოუკიდებელი აფრიკის შვილი კვეისონ-ს

შეტაკება ჰაერში

გუშინ ჩვენს რედაქციაში სტუმრად იყვნენ ჟურნალ „გრაჟდანსაია ავიაციას“ სპეციალური კორესპონდენტები კიშინიოვში — ჟურნალის რედაქტორის ვოლოდგილი ი. ვოლოკიტინი და ვ. გოლცოვი, რომლებმაც მოგვითხრეს კიშინიოველი მფრინავების ანატოლი შეველიოვისა და ვლადიმერ ბაიდეკის გმირობაზე.

„კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ საინტერესო ნაამბობს.

ისინი გაფრინდნენ სამხრეთ მოლდავეთის პატარა ქალაქ ჩადირ-ლუნგიდან. თვითმფრინავის მეთაურმა ანატოლი შეველიოვმა თავისი ადგილი დაიკავა კაბინაში. მეორე პილოტი ვლადიმერ ბაიდეკი კი მაზავრებს იღებდა.

— თუ შეიძლება, მალე, ამხანაგო, — აჩქარებდა იგი ბრგე კაცს, რომელიც გასასვლელში შეფერხდა. დრო ძვირად გვიღირს.

— დრო ჩემთვისაც ფულია, — მიუგო ახმახმა. — ეგ არის, რომ თქვენი კაპარი ვიწროა. შიგ ვერ მიბრუნდ-მობრუნდები.

— რამდენი არიან? — ჰკითხა შეველიოვმა, ბაიდეკი კაბინაში რომ შევიდა.

— ორი წინანდელია, ორიც ახალი.

— მაშასადამე, ოთხი?

— წონით მეტი იქნება.

— როგორ? ტვირთი დაუმატეს თუ?

— არა, ტვირთი არ დაუმატებიათ. ისეთი ძია ჩაჯდა, რომ ორს აიწონის.

— მეორე ბილეთის ღება შეგეთავაზნა.

— გაგეხერხებოდი, მაგრამ, როგორც ვხედავ, გუნებაზე არ არის. ვაითუ იწყინონ...

ამ ლაპარაკში მფრინავებმა ძრავი აამუშავეს. თვითმფრინავი გაცოცხლდა, შეტორტმანდა და სტარტისაკენ დაიძრა. ერთი წუთის შემდეგ კი მწვანეფრთიანი ბიპლანი სწრაფად გაქანდა და ჰაერში ავიდა.

თვითმფრინავი მიფრინავს. მხიარულად გუგუნებს ძრავი. საჭეს უსხედან ახალგაზრდა ვაჟკაცები, რომელთაგან ერთი ცოტა უფროსია მეორეზე.

ზვიდი წელიწადია, რაც ანატოლი შეველიოვი მოლდავეთის ტრასებზე დაფრინავს. ვლადიმერ ბაიდეკიმ კი მხოლოდ ცოტა ხნის წინათ დაამთავრა სასწავლებელი. სულ რამდენიმე დღეა, რაც ერთად არიან.

შეველიოვმა მართვა ბაიდეკის გადასცა და გასამხნევებლად თავი დაუქნია: „აბა შენიცი, ვოლოდია. ასე გეტყოროს!“ ბაიდეკიმაც სიამოვნებით ჩაბღუჯა საჭე. რა თქმა უნდა, ცუდი როდი, როცა მეურვეობას გიწევს გამოცდილი ხელი. მაგრამ დიდია დამოუკიდებლობის გამოჩენის წადილი.

თვითმფრინავი მიფრინავს. მდორედ, წყნარად. გულდამშვიდებული არიან მფრინავებიც. მათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ დროს მათს ზურგს უკან დრანატული ამბები მზადდებოდა.

ორი მგზავრი, ისინი, რომლებიც ჩადირ-ლუნგში ჩასხდნენ, რაღაცაზე ჩურჩულებდა. ყური რომ მიგეგდოთ, გაიგონებდით წყვეტილ ფრაზებს:

— მალე დავიწყებთ, შეფო?

— მოიცა, ჯო.

— რა?..

— ნუ ფაციფუცობ...

ახმახს ხელი ჩაეყო საჯდომის ქვეშ და თავის ბარგს ქექავდა. შემდეგ კი წამოიძახა:

— აბა, შეუფდგეთ...

ისინი მიჩოჩდნენ სამგზავრო კაბინაში მყოფ მეზობლებთან, იმიშვლეს დამალული იარაღი — პისტოლეტი და დანა.

— ჩუმად, გესმით! იცოდეთ, კრინტი არ გაიღოთ,—კბილებში გამოცრა „შეფმა“.— ჯო, აბა ერთი ჯიბეები მოუზხრიკე.

ხელქვეითმა პროფესიული სიმარჯვით გაჩხრიკა მგზავრები.

— ახლა დაიჩოქეთ და თავები ძირს დაზარეთ, — გასცა განკარგულება „შეფმა“.

— აბა, დონდღოვ, — ჯომ დანა მოუღერა, — დაიჩოქე...

— უყარაფელ. მე მფრინავებს მოველაპარაკები...

ჩრდილის ფართო ზოლი მიადგა ხელსაწყოთა დაფას. შეველიოვი ინსტიქტურად შემობრუნდა. კარის ჭრილში თითქოს გაყინულიყო სახეჩამომჭკნარი კაცი და ბორტი თვალებით იყურებოდა. ხელში პარაბელუმი ეჭირა.

— წინააღმდეგობის გაწევა არა სცადოთ! — ამოისავლა მან. — რადიო არ ჩართოთ. მელაკუდობას თუ დაიწყებთ, გაუფრთხილებლად გესვრით.

მფრინავებმა ერთმანეთს გადახედეს. რა არის ეს, ლაზღანდრობაა თუ შეზარხოშებული უსაქმურის ველური ჭამოხდომა?

— თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? — აღშფოთდა შეველიოვი.

— გულისხმას ჩაავრდი? ზღვისაკენ გავფრინდეთ. არა და ჭკუას გასწავლი.

— გესმის, ვოლოდია, როგორ ფახიფუხობს ეს ვაჟბატონი?

ახმახს ჯიგრისფერი დაედო, შეიგინა და მოლდავურად უთხრა ბაიდეკის:

— ეს ბევრს ყბედობს. ახლავე ანდერძს ავუგებ. მარტო შეგიძლია წაიყვანო თვითმფრინავი?

ბაიდეკი სავარძლიდან წამოდგა და წინ წადგა ნაბიჯი. „შეფმა“ დაიწია.

— უკან!

ბაიდეკი დაემორჩილა, მაგრამ თვალი შეასწორო, რომ მგზავრთა კაბინაში ორნი დაჩოქილნი იყვნენ და თავები ერთმანეთისაკენ ჰქონდათ მიქცეული. მათ გვერდით კი დანამომარჯვებული იდგა მესამე. დიახ, ვითარება მწვავდებოდა. და საჭირო იყო მოეგოთ დრო.

— რისა გეშინიათ? — განზრახ გაიღიმა ბაიდეკიმ. — მე სამოცდასამ კილოგრამს ვიწონი, თქვენ კი, ალბათ, მთელ ას კილოგრამს.

— ნუ მიედ-მოედები, — ახმახმა სახელოთი მოიწმინდა ოფლი შუბლზე.

შეველიოვმა ზიზღით შეხედა ბანდიტს:

ანატოლი შეველიოვი.

ვლადიმერ ბაიდეკი.

— ჯო, გააცანი ამ ფრენიებს ჩემი პლატფორმა.

— რა ვაკეთოთ? კაცურად ვიცხოვრებთ.

შეველიოვმა ფრთხილად დააჭირა ფეხი პედალს და თვითმფრინავი მთლად შეაბრუნა მარცხნისაკენ.

— აქ არ გეცხოვრებათ?

— აბა რა არის აქ კარგი! ერთი სასჯელი მოვიხადეთ, მეორის აკიდებას გვიპირებენ.

— ჩაავრდით?

— დოყლაპიობა რომ გამოგვეჩინა, ბოლოს მოგვიდებდნენ. თურქეთში კი ვერ მოგვწვდებიან.

— თურქეთამდე მიფრენა უნდა.

— როგორ, საწვავი არ გვეყოფა?—შეშფოთდა „შეფი“.

— ბენზინი კი საკმაო გვაქვს, — მიუგო ბაიდეკიმ, — ოღონდ საზღვარზე არ ჩამოგვადგონ.

— თუ ბედი გაგვიღიმეს, გავაღწევთ. თუ მიწას დავეწარცხეთ — ერთად მოგვივა რაც მოგვივა. ჩვენ არაფერს ვკარგავთ.

დიახ, ამ თავზე ხელაღებულებს დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ. საპყრობილიდან განთავისუფლებულთა კვლავ ჩაედინათ დანაშაული. და განზრახული ჰქონდათ თავი დაეღწიათ სასჯელისათვის. თავიანთი ტყავი რომ გადაერჩინათ, მზად იყვნენ მკვლელობა ჩაედინთ. მზად იყვნენ სამშობლოსათვის ეღალატნთ. მაგრამ განა შეეძლოთ კომკავშირელებს ანატოლი შეველიოვსა და ვლადიმერ ბაიდეკის თავიანთი სინდისისათვის ეღალატნათ? თუნდაც სიკვდილის საფრთხეში ჩაგარდნილთ!

შეველიოვმა საათს დახედა. უკვე ერთი საათი გასულიყო. მალე უნდა გამოჩენილიყო კიშინიოვის აეროპორტი.

„დროა დავეშვათ, დასაჯდომად მოვემზადოთ“, — ფიქრობდა ანატოლი. — მაგრამ როგორ? სწორი ხაზიდან? ასე უფრო საიმედო იქნება. გაზს გამოვრთავ. ვიტყვი, რომ ძრავი გაფუჭდა. და პლანერებით დავეშვები“...

საჭეს ოდნავ უკან მოსწია და ბაიდეკის შეხედა. ბაიდეკი მიხვდა, რომ თვითმფრინავი დასაშვებად ემზადებოდა. გადამწყვეტი მომენტი ახლოვდებოდა.

წინ ქალაქის განაპირა უბანი გამოჩნდა.

— შეფ! ეს ხომ კიშინიოვი! — ისტერიულად დაიღრიალა ჯომ.

— ქვეყარშავლეთ!..

კაბინაში სრული გაისმა. შეველიოვს ტყვიით გადატეხილი მარჯვენა ხელი უმწეოდ დაეკიდა. თვითმფრინავი მკვეთრად შექანდა. მართვა ბაიდეკიმ იკისრა.

— მოაბრუნე...

— აბა რას ვაკეთებ?—მეორე პილოტმა მანქანა დაბლა დაუშვა

ბანდიტები კინაღამ წაქცნენ.

— მაშ ასე?.. ჯო, დაკალი ესენი!

ანატოლიმ, სამშინელი ტკივილის მიუხედავად, საჭე თავისკენ მოზიდა. თვითმფრინავი ისევ მაღლა ავარდა.

„შეფმა“ პარაბელუმი ამართა.

ბაიდეკიმ ბანდიტს პისტოლეტის ლულაზე ეტაცა ხელი. გაისმა სროლა, და ვლადიმერს მარცხენა ხელი სისხლით შეეღება.

ორ მფრინავს ორი ხელი დარჩა ორი ბანდიტის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხელები ერთი ადამიანის ხელებივით მოქმედებდნენ. თვითმფრინავი ხან ფრთაზე გადაბრუნდებოდა, ხან პიკირებით ეშვებოდა დაბლა. ბანდიტები ხან ერთ ბორტს ენარცხებოდნენ, ხან მეორეს. გაისმოდა სროლა.

— დახოცე ესენი, ჯო! — ღრიალებდა „შეფი“. — მე პისტოლეტში ტყვია გამეჭედა...

ბანდიტის ხელქვეითი შეველიოვთან მიცოცდა და მაგრად ჩასცა დანა მკერდში. სისხლმა იჩქეფა.

— აქ ვჯდებით, ვოლოდია. აქ ხალხია...

თვითმფრინავი მიწისაკენ დაექანა. ვეღარაფნი შეიჭრა გადაბრუნდა. შეველიოვმა ფარანი გააღო, ძალღონე მოიკრიბა და კაბინიდან გამოვიდა. მის შემდეგ გამოფოფზდა ბაიდეკი. მათთან კი უკვე მორბოდნენ ყურძნის მკრეფავები.

ბანდიტმა რეციდივისტმა გაქცევა სცადეს. მაგრამ მათ დაეწიენენ.

კიშინიოვის სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების საავადმყოფოში, სადაც შეველიოვი და ბაიდეკი მიიყვანეს, პარტიული კრება იყო.

— ამხანაგებო, დაჭრილი მფრინავები მოიყვანეს, — მოახსენებთ მორიგე ექიმმა.— მათი მდგომარეობა მეტად მძიმეა. განსაკუთრებით მეთაურისა. ბევრი სისხლი აქვს დაკარგული. მაჯა არ ისინჯება...

— კრებას ვხურავთ, — განაცხადა თავმჯდომარემ. — ქირურგო როიტბურტ, წაიყვანეთ საჭირო ადამიანები და ოპერაციას შეუდექით.

შეველიოვს ოპერაციას რომ უკეთებდა, ეგსვეი ილიას-ძე როიტბურტი ასისტენტ ვასილიევს უკარნახებდა:

— სამი ჭრილობა სასროლი იარაღით... ორივე თეძოსა და მარჯვენა ხელში... დამსხვრეულია მხარის ძვალი... ორი ტყვია გამჭოლად არის გასული... მესამე მარცხენა წვივში გაჩერებულა... ოთხი ჭრილობა დანით... დაზიანებულია პლევრა ღრმა... ჭრილობა... გულიდან სამ მილიმეტრზე...

საოპერაციო მაგიდაზეა ბაიდეკი.

— გამჭოლი ჭრილობები სასროლი იარაღით... მარცხენა წვივში... მარცხენა ხელის მტევანში... თავის ქალისა და ტვინის ტრავმა...

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სამედიცინო პერსონალის ბრძოლა მფრინავთა სიცოცხლის გადასარჩენად. დღედაღამ მორიგეობდნენ მათს საწოლებთან ექიმები, მედიცინის დები, სანიტრები. ყურადღებით და მზრუნველობით უვლიდნენ თავიანთ ქმრებს ადელინა შეველიოვა და ლიუდმილა ბაიდეკაია. მფრინავებს მრავალი მეგობარი ნახულობდა. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსდიოდათ გულთბილი დეპეშები და წერილები.

ლენინგრადიდან და ხაბაროვსკიდან, მურმანსკიდან და აშხაბადიდან, ხარკოვიდან და სვერდლოვსკიდან და ბევრი სხვა ქალაქიდან სწერდნენ და სწერენ ანატოლი შეველიოვსა და ვლადიმერ ბაიდეკის. მათმა სიმტკიცემ და გამბედაობამ აღიარება ჰპოვა საბჭოთა კოსმონავტებთანაც. მთელი ჩვენი ხალხის ამ გმირებმა კი იციან ვაჟკაცობის ფასი.

ამ სტრიქონების ავტორი შეხვდა კოსმოსის დამპყრობთ ვლადიმერ მიხეილის-ძე კომაროვს, კონსტანტინე პეტრეს-ძე ფეოვიტოვს და ბორის ბორისის-ძე ეგოროვს. როცა შეიტყეს, რომ ჩვენ კიშინიოვში ვაპირებდით წასვლას ანატოლი შეველიოვთან და ვლადიმერ ბაიდეკისთან, კოსმონავტებმა გამოკითხვა დაგვიწყეს:

— როგორ არიან?

— გამოჯანსაღდებიან?

— ჩინებული ბიჭები არიან. მტკიცედ გადაიტანეს განსაცდელი.

მერე კი კოსმონავტებმა შემდეგი წერილი გადმოგვცეს:

„კიშინიოვი, სამოქალაქო ავიაციის ქვეგანაყოფი, კომკავშირელ მფრინავებს ანატოლი შეველიოვს და ვლადიმერ ბაიდეკას.

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგილოცავთ გმირობას, რომელიც ჰაერში ბანდიტური თავდასხმის მოგერიებისას გამოიჩინეთ. ვამაყობთ თქვენი მამაცობითა და სიმტკიცით.

თქვენ მოიქეცით როგორც ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტები. გისურვებთ მალე გამოჯანსაღებას და ახალ ფრენას.

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, საბჭოთა კავშირის გმირები

ვ. კომაროვი, კ. ფეოვტისტოვი, ბ. ეგოროვი“.

ჩვენ მივედით კიშინიოვის საავადმყოფოში, ვინახულეთ ანატოლი შეველიოვი და ვლადიმერ ბაიდეკი. ისინი უკვე კარგად გრძნობდნენ თავს.

გმირმა კომკავშირელებმა მღელვარებით წაიკითხეს სახელგანთქმული კოსმონავტების წერილი.

ამბობენ, რომ ადამიანი გაჭირვებაში გამოიცნობა. კიდევ უკეთ გამოჩნდება იგი ბრძოლაში. როცა სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთის გვერდით დგანან.

მკაცრ განსაცდელში შეველიოვმა და ბაიდეკიმ გამოიჩინეს ხასიათის სიმტკიცე, სულის ძლიერება. სასიკვდილო საფრთხეს არ შეუშინდნენ და უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვეს.

ი. ვოლოკიტინი,
ვ. გოლცოვი.

მოსკოვი-კიშინიოვი-თბილისი.

აი რა დარჩა თვითმფრინავისაგან...

ჩემპიონის მეოთხე გამარჯვება

გუშინდელ მეცხრე ტურში ერთმანეთს შეხვდა ორი ლიდერი — ნ. კონსტანტინოვა და ლ. ვოლპერტი. ლენინგრადელმა ოსტატმა გამოიყენა სანდინავიური დაცვა, რომელიც ოშვიათად გვხვდება სატურნირო პრაქტიკაში. ვოლპერტმა მიმართა მეტად საინტერესო ვარიანტს, რაც მეტოქისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. კონსტანტინოვას მდგომარეობა მალე კრიტიკული გახდა. რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს მაინც არ დაუარია ფარხმალი და ოშვიათი შეუპოვრობით იცავდა თავს. ვოლპერტს რამდენჯერმე შეეძლო პარტიის მოგება, მაგრამ, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა. ბოლოს და ბოლოს, კონსტანტინოვამ უკუაგდო მეტოქის შეტევა და შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა. ვოლპერტმა პირველი დამარცხება იგემა. ახლა წაუგებლად მხოლოდ ნ. ალექსანდრია და ე. რუბცოვა იბრძვიან.

ნ. გაფრინდაშვილმა „ჩართო სიჩქარე“. მან ი. გასპარიანცთან შავებით უფიმცევის დაცვას მიმართა და დებიუტშივე მოიგო პაიკი. უკვე მე-20 სვლისთვის მოსკოველ მოჭადრაკეს უიმედო პოზიცია ჰქონდა, მაგრამ გააჭიანურა წნაალმდეგობა 38-ე სვლამდე. ეს მსოფლიოს ჩემპიონის ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა.

უ. კურე მხლოდ ყაიმისაკენ მიისწრაფოდა თეთრებით ნ. ალექსანდრიასთან. ნორჩი ქართველი მოჭადრაკე ძნელი პრობლემის წინაშე დადგა, მას მოგების მისაღწევად „სუპერბეტონი“ უნდა გაეჩერებინა. საქართველოს ჩემპიონი დიდი ენერგიით იბრძოდა და ენდშპილში მიაღწია საწადელს. ახლა გადადებულ პოზიციაში მას ორი ზედმეტი პაიკი და ოიოლად მოსაგები მდგომარეობა აქვს. ბეშმარიტად, როგორც ამბობდა მოჭადრაკეთა შორის პირველი ეურნალისტი და ეურნალისტთა შორის პირველი მოჭადრაკე გროსმაისტერი ს. ტარტაკოვერი „ის კი არ იგებს, ვინც კარგად თამაშობს, არამედ ის, ვინც უკეთესად თამაშობს“.

ა. ერგლეს ფრთები შეასხა წინა ტურში კ. ზუროიკინას დამარცხებამ. ამიტომ მასთან შავებით შეჯიბრების ლიდერმა ე. რუბცოვამ ფსიქოლოგიურად სრულიად გამარჯლებულად აირჩია საიმედო კარო-კანის დაცვა. ამასთან ე. რუბცოვამ მიმართა ისეთ ვარიანტს, რომელიც თეთრებს შეტევაზე გადასვლის ნაკლებ შესაძლებლობებს აძლევს. მალე თვით რუბცოვამ დაიწყო აქტიური თამაში სათანადოდ მოუმზადებლად, რისთვისაც შეიძლებოდა კიდევაც დასჯილიყო. ა. ერგლემ ვერ ისარგებლა ამ შესაძლებლობით. თვითონ განიცადა ძლიერი იერიში და შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მ. რანიკუმ მწვავე პოზიციაში ეტლი შესწირა ა. ჩაიკოვსკაიას. სწორი დაცვის შემთხვევაში თბილისელი ოსტატი იოლად აღწევდა ყაიმს, მაგრამ შეცდა და წააგო. ვ. ბორისენკომ სძლია ზ. ნახიმოვსკაიას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ცხრა ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია ე. რუბცოვა, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ნ. გაფრინდაშვილი და ნ. კონოპლიოვა. 6,5 ქულა აქვს ლ. ვოლპერტს, მ. რანიკუს — 6 ქულა, ნ. ალექსანდრიას — 5 ქულა და ორი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია.

დღეს გაიმართება მორიგი მეათე ტური.

გ. გამრეკელი.

„შეუდარებელია ქართული ხალხური სიმღერები“

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრადაა ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორი ნორმან დელო ჯოიო. ქართული მუსიკის გაცნობის მიზნით კომპოზიტორი ჩამოვიდა თბილისში. ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტში მან მოისმინა ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები, ესაუბრა პროფესორ გ. ჩხიკვაძეს.

შეუდარებელია ქართული ხალხური სიმღერები, — თქვა ნორმან დელო ჯოიომ.

გუშინ, 8 დეკემბერს, სტუმარი კონსერვატორიაში შეხვდა კომპოზიტორებს. კონსერვატორიის რექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა მას გააცნო მუსიკალური განათლების საქმე საქართველოში.

— თქვენში არის კომპოზიტორთა კავშირი. — თქვა ნორმან დელო ჯოიომ. — ეს ძალიან კარგია. კომპოზიტორებს შეუძლიათ აქ შეხვდნენ ერთმანეთს, გაეცნონ თავიანთი კოლეგების ახალ ნაწარმოებებს, ერთმანეთს გაუზიარონ შემოქმედებითი გეგმები. სამწუხაროდ, ამერიკაში ასე როდია.

ამერიკელმა კომპოზიტორმა მოისმინა ქართველი ავტორების მუსიკალურ ნაწარმოებთა ჩანაწერები. მას საჩუქრად გადასცეს ნოტები.

8 დეკემბერს ამერიკელი კომპოზიტორი მოსკოვს გაემგზავრა.

(საქდესი).

ჟურნირი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა პროფკავშირთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე ტური.

მსოფლიოს ჩემპიონი პეტროსიანი სოლოვიოვთან შეხვედრაში ყაიმს დასჯერდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ტბილისელ ბოლესლავსკისა და კლოვან-გიასლისის პარტიებში. ჩისტიაკოვმა მოუგო მნაცაკანიანს, ვაისმანმა — პოლუგაევსკის. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს გაიმართება მესამე ტური.

საფარიკაო გილიკებზე

თბილისს ეწვია პოლონეთის მოფარიკავეთა კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან გამოცდილი სპორტსმენები, ოლიმპიური პრიზიორები.

პირველ დღეს გაიმართა გუნდური ასპარეზობა რაპირით და ხმლით ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ გ. ანდრიაძემ და თ. ზაუტაშვილმა დამარცხეს ისეთი ცნობილი მოფარიკავეები, როგორიც არიან ოლიმპიურ ასპარეზობათა პრიზიორები ვ. ვოიდა და ე. ფრანკე, საქართველოს რაპირისტმა გუნდმა მაინც დამარცხება განიცადა ანგარიშით 4 : 12.

შეუპოვარი გამოდგა ხმლით ბრძოლა. აქ საქართველოს სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო და წარმატებაც მათ ხვდათ 10 : 6.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი კუვეიტს ეწვია და აქ პირველი შეხვედრა ჭარნდა ამ ქვეყნის ნაკრებთან. მატჩი საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

დონეცკის „მახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივი სტუმრად არის კონგოში. აქ იგი შეხვდა კუინის პროვინციის ნაკრებს. მეტოქეებმა შეძლეს თითო ბურთის გატანა და მატჩი ფრედ დამთავრეს.

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა დაამთავრა ტურნე კამბოჯაში. უკანასკნელი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

ერევნის „არარატი“, რომელიც ლიბანში იმყოფება, ბეირუთში შეხვდა ადგილობრივი საკლუბო გუნდების ნაკრებს და გაიმარჯვა 2:1.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

თვითმფრინავების მიმოსვლის განრიგება

მოსკოვის დრო

საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიული სამმართველოს თბილისის აეროპორტიდან

1964/65 წლის 15 მაისამდე

რეისის №	თვითმფრინავის ტიპი	მიმართულება და მიმოსვლის სიხშირე	გასვლის დრო	ჩასვლის დრო	რეისის №	მიმართულება და მიმოსვლის სიხშირე	გასვლის დრო	ჩამოსვლის დრო
230	ტუ—104	მოსკოვი (ვნუკოვო)—31/III-მდე 2, 4, 6 დღ. 1/IV-დან—ყოველდღე	06—05	08—40	229	მოსკოვიდან (ვნუკოვო) 31/III-მდე 2, 4, 6 დღ. 1/IV-დან.—ყოველდღე	18—05	20—35
228	„	მოსკოვი (ვნუკოვო)—ყოველდღიურად	06—55	09—30	227	მოსკოვიდან (ვნუკოვო)—ყოველდღე	10—50	13—20
224	„	მოსკოვი (ვნუკოვო)—ყოველდღე	16—25	19—00	223	მოსკოვიდან (ვნუკოვო)—ყოველდღე	20—20	22—50
661	„	ლენინგრადი 31/III-მდე 2, 4, 6, 7 დღ. 1/IV-დან ყოველდღე	09—40	15—05	662	ლენინგრადიდან—31/III-მდე 1, 3, 5 7-დღ. 1/IV-დან ყოველდღიურად	08—00	13—00
661	„	კიევი (ბორისპოლი)—31/III-მდე 2, 4, 6, 7 დღ. 1/IV—ყოველდღე	09—40	12—10	662	კიევიდან (ბორისპოლი)—31/III—1, 3, 5, 7 დღ. 1/IV-დან ყოველდღე	10—40	13—00
641	„	ტაშკენტი 2, 6 დღ.	22—25	01—20	642	ტაშკენტიდან— 3, 7 დღ.	03—00	06—15
659	„	სვერდლოვსკი 14/IV-მდე 1, 5 დღ. 15/IV-დან 1, 3, 5 დღ.	12—05	16—55	660	სვერდლოვსკიდან—14/IV-მდე 2, 6, დღ. 15/IV--დან 2, 4, 6, დღ.	07—25	12—30
659	„	კუიბიშევი (კუიბეშევი)—14/IV-მდე 1, 5 დღ 15/IV-დან 1, 3. 5 დღ.	12—05	14—30	660	კუიბიშევიდან (კუიბეშევი)—14/IV-მდე 2, 6 დღ. 15/IV-დან 2, 4, 6 დღ.	10—00	12—30
937	„	მინერალური წყლები (ყოველდღე)	11—20	12—00	938	მინერალური წყლებიდან—ყოველდღე	13—30	14—20
952	ილ—14	ერევანი—ყოველდღე	09—05	10—20	951	ერევნიდან—ყოველდღე	07—15	08—30
667	„	სოჩი—(ადლერი)—ყოველდღე	13—40	17—10	668	სოჩიდან—(ადლერი)—ყოველდღე	17—55	20—40
657	„	როსტოვი—ყოველდღე	07—50	12—15	658	როსტოვიდან (ყოველდღე)	13—15	17—35
663	„	კრასნოდარი—ყოველდღე	09—25	13—30	664	კრასნოდარიდან—ყოველდღე	14—25	18—30
471	„	დნეპროპეტროვსკი (დონეცკი)—ყოველდღე	06—10	13—30	472	დნეპროპეტროვსკიდან (დონეცკი)—ყოველდღ	14—20	20—55
ა-10	„	ბაკო (ცლახი, კიროვაბადი)—ყოველდღე	11—10	13—35	ა-9	ბაკოდან—ყოველდღე	07—45	10—15
		სატრანზიტო რეისები						
493	ტუ—104	სიმფეროპოლი— 2, 4, 6 დღ.	15—05	16—50	494	სიმფეროპოლიდან—3, 5, 7 დღ.	08—35	10—15
494	„	ტაშკენტი—3, 5, 7 დღ.	11—10	14—05	493	ტაშკენტიდან—2, 4, 6 დღ.	10—50	14—05
725	ილ—18	სოჩი—(ადლერი) 2, 4, 7 დღ.	16—50	18—05	726	სოჩიდან—(ადლერი)—1, 3, 5 დღ.	07—55	09—05
726	„	აშხაბადი—1, 3, 5, დღ.	09—50	13—30	725	აშხაბადიდან—2, 4, 7 დღ.	12—15	16—05
726	„	ბაკო—1, 3, 5 დღ.	09—50	11—05	725	ბაკოდან—2. 4, 7 დღ.	14—50	16—05
953	„	ვოლგოგრადი—4, 7 დღ.	12—40	14—30	954	ვოლგოგრადიდან—1, 5 დღ.	13—20	15—15
953	„	ყაზანი—4, 7 დღ.	12—40	17—25	954	ყაზანიდან—1, 5 დღ.	10—20	15—15
954	„	ერევანი—1, 5 დღ.	16—00	16—55	953	ერევნიდან—1, 7 დღ.	11—00	11—55
958	ილ—14	ერევანი—1, 2. 4, 6 დღ.	14—40	15—55	957	ერევნიდან—1, 3, 5. 7 დღ.	08—20	09—35
957	„	ხარკოვი—1, 3, 5, 7 დღ.	10—05	15—55	958	ხარკოვიდან—1, 2, 4, 6 დღ.	08—25	14—10
		ადგილობრივი ხაზი						
გ—03	ტუ—104	სოხუმი—ყოველდღე	12—35	13—25	გ—04	სოხუმიდან—ყოველდღე	15—10	16—00
გ—1	ილ—14	ბათუმი—(მახარაძე) ყოველდღე	08—00	10—10	გ—2	ბათუმიდან—ყოველდღე	10—30	12—45
გ—3	„	ახალქალაქი—ყოველდღე	07—05	07—55	გ—4	ახალქალაქიდან—ყოველდღე	08—10	08—55
გ—7	„	ქუთაისი—ყოველდღე	18—20	19—35	გ—8	ქუთაისიდან—ყოველდღე	20—10	21—25
გ—9	„	ბათუმი—(ვუთაისი) ყოველდღე	09—15	11—25	გ—10	ბათუმიდან—ყოველდღე	16—10	18—30
გ—15	„	ზუგდიდი—(ქუთაისი) ყოველდღე	08—30	10—35	გ—10	ზუგდიდიდან—ყოველდღე	10—50	13—10
გ—19	„	ბათუმი—(ქუთაისი) ყოველდღე	12—20	14—30	გ—20	ბათუმიდან—ყოველდღე	14—50	17—00
გ—27	„	სოხუმი—ყოველდღე	08—15	09—50	გ—28	სოხუმიდან—ყოველდღე	10—15	11—50
გ—29	ილ—2	თელავი—ყოველდღე	07—15	08—05	გ—30	თელავიდან ყოველდღე	08—20	09—10
გ—31	„	თელავი—ყოველდღე	12—50	13—40	გ—32	თელავიდან—ყოველდღე	13—45	14—30
გ—33	„	თელავი—ყოველდღე	14—55	15—45	გ—34	თელავიდან—ყოველდღე	15—45	16—35
გ—37	„	ლაგოდეხი—(ჭალორი) ყოველდღე	09—45	11—00	გ—38	ლაგოდეხიდან—ყოველდღე	11—05	12—15
გ—39	„	აფენი—ყოველდღე	11—50	12—40	გ—40	აფენიდან—ყოველდღე	12—45	13—35
გ—41	ილ—2	აფენი—(ყვარელი) ყოველდღე	08—45	10—15	გ—42	აფენიდან—ყოველდღე	10—20	11—10
გ—47	„	ქუთაისი—ყოველდღე	13—40	14—55	გ—44	ქუთაისიდან—ყოველდღე	15—30	16—45

შენიშვნა: კვირის დღეები: 1 ორშაბათი 2 სამშაბათი 3 ოთხშაბათი 4 ხუთშაბათი 5 პარასკევი 6 შაბათი 7 კვირა

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო
5 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — მ. დავითაშვილი: ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, 08.30 — კონცერტი — „ახალი საესტრადო ჩანაწერები“, 09.15 — სიმღერები სამშობლოზე, პატრიოტზე, მშვიდობასა და მეგობრობაზე, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.00 — „პიონერსკაია ზორკას“ სადღესასწაულო პროგრამა (მოსკოვი), 12.15 — ს. პროკოფიევი. ორატორია „მშვიდობის სადარაჯოზე“, 14